



მართვები, რომელიც მიტისძირას უძლებენ

გაიხსენე, რა იყ მიწისძვრის შესახებ. ნაიკითხე ტექსტი
და შეავსე შენი წოდნა.

მიწისძვრა დედამიწის ზედაპირის რყევაა. იგი გამოწვეულია ბუნებრივი მიზეზებით. ჩვენ მიწისძვრის თავიდან აცილება არ შეგვიძლია. **ნინასნარ** ვერც იმას გავიგებთ, როდის და სად მოხდება ეს საშიში **სტიქია.**

მიწისძვრა სხვადასხვა სიძლიერისაა. მას ბალებში ზომავენ. მიწისძვრის სიძლიერე შეიძლება იყოს 1-იდან 12 ბალამდე. ოთხი ბალის ჩათვლით მიწისძვრა იმდენად სუსტია, რომ მას ვერც კი ვამჩნევთ. ხუთბალიან მიწისძვრას ვგრძნობთ, მაგრამ ის არაფერს ანგრევს. ექვსბალიანი მიწისძვრის დროს კედლებზე შეიძლება გაჩნდეს ბზარები. შვიდბალიანი რყევები შენობებს ძალიან აზიანებს. რვა-ცხრა ბალის სიძლიერის მიწისძვრას დამანგრეველი ძალა აქვს. ათბალიანი მიწისძვრისას წარმოიქმნება **მეწყერები.** თერთმეტი ბალის დროს მიწაზე დიდი **ნაპრალები** ჩნდება. თორმეტ ბალზე კი მიწა იბურცება. ამ დროს **მკვეთრად** იცვლება დედამიწის ზედაპირის ფორმა.

როგორ უნდა მოიქცეს ადამიანი, რომ ამ სტიქიისაგან როგორმე დაიცვას თავი? რას აკეთებენ იქ, სადაც ხშირია მიწისძვრა?

პირველ რიგში, ადამიანები ეცნობიან

იმ წესებს, რომელიც მიწისძვრის დროს უნდა გაითვალისწინონ. გარდა ამისა, ისინი ისეთ სახლებს აშენებენ, დიდ რყევას რომ გაუძლებს. მაგალითად, იაპონიაში, სადაც ხშირია ძლიერი მიწისძვრები, ააგეს მთავრობის უცნაური სახლი. ეს შენობა მიწისძვრის დროს საკუთარი **ლერძის** გარშემო ბრუნავს და ამიტომ არ ინგრევა. ზოგი მაღალი შენობა კი **რელსებზე** შეაყენეს. მიწისძვრის დროს ასეთი სახლი არ ირყევა, მხოლოდ აქეთ-იქით დასრიალებს.

იაპონელები სახლების ასაშენებლად **გამძლე** მასალას იყენებენ. ასევე შენობის კედლებზე მეტი სიმყარისთვის ფოლადის საყრდენებსა და მავთულებს ამაგრებენ. სწორედ ამის გამო ასეთი კედლები რყევის დროს არ ინგრევა. მიწებს კი შიგნიდან ფოლადის თხელ ბადეს უკეთებენ. მინა აღარ იმსხვრევა და ადამიანები არ ზიანდებიან.

შეიძლება არ გჯერა, მაგრამ იაპონელებმა მოლივლივე სახლებიც კი გამოიგონეს. ასეთ სახლებს გარშემო სპეციალურ მოწყობილობას უკეთებენ. ის მიწისძვრის დროს სახლს ქვემოდან ჰაერის ძლიერ ნაკადს უბერავს. შენობა სამი სანტიმეტრის სიმაღლეზე „აფრინდება“. ის ჰაერში **ლივლივებს** მანამ, სანამ მიწისძვრა არ დამთავრდება. შემდეგ კი მშვიდობიანად ეშვება მიწაზე.

რა გაიგე ახალი მიწისძვრის შესახებ? რომელმა ინფორმაციამ გაგროუ უკეთაზე
მეტად და რაჭომ?

►►► ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 მინისძვრა გამოწვეულია ბუნებრივი მიზეზებით, ამიტომ:

- ა) მისი თავიდან აცილება ადვილია.
- ბ) მისი თავიდან აცილება რთულია.
- გ) მისი თავიდან აცილება შეუძლებელია.

2 თორმეტი ბალის სიძლიერის მინისძვრის შედეგად:

- ა) მინის ზედაპირზე ჩნდება მცირე ზომის ნაპრალები.
- ბ) შენობებზე ჩნდება მხოლოდ პატარა ბზარები.
- გ) შესამჩნევად იცვლება მინის ზედაპირის ფორმა.

3 ტექსტის მიხედვით, მინისძვრა ნაკლებ პრობლემას შეუქმნის ადამიანს, თუ ის:

- ა) ააშენებს სახლებს, რომლებიც დიდ რყევას გაუძლებენ.
- ბ) ისწავლის მინისძვრის სიძლიერის სწორად გაზომვას.
- გ) წინასწარ გაიგებს მინისძვრის გამომწვევ ყველა მიზეზს.

4 რის შესახებ არ არის საუბარი ტექსტში?

- ა) რატომ შეაყენეს ზოგიერთი მაღალი შენობა სპეციალურ რელსებზე.
- ბ) როგორ ახერხებენ იაპონელები მყარი, გამძლე შენობების აგებას.
- გ) რომელი წესების შესრულებაა საჭირო მინისძვრისაგან თავის დასაცავად.

5 მოცემული ტექსტის მთავარი მიზანია, მკითხველმა გაიგოს:

- ა) რას აკეთებენ იაპონიაში, მინისძვრისაგან მიყენებული ზიანი რომ შემცირდეს.
- ბ) რატომ არის შეუძლებელი წინასწარ იმის გაგება, როდის მოხდება მინისძვრა.
- გ) როგორ უნდა განასხვაოს ერთმანეთისაგან სხვადასხვა სიძლიერის მინისძვრა.


ლექსიკა
1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. იმის გაგება, თუ რამდენბალიანი იქნება მიწისძვრა, **ნინასწარ** შეუძლებელია.
ა) ადრე. ბ) დროულად. გ) ზუსტად.

2. ძლიერი მიწისძვრისას **მკვეთრად** იცვლება დედამიწის ზედაპირის ფორმა.
ა) მკაფიოდ. ბ) მოულოდნელად. გ) მუდმივად.

3. იაპონელები სახლებს **გამძლე** მასალით აშენებენ.
ა) მაგარი. ბ) მსუბუქი. გ) სქელი.

4. შენობა სამი მეტრის სიმაღლეზე **ლივლივებს**.
ა) დგას. ბ) ირხევა. გ) ტრიალებს.

2 ჩამონათვალიდან სწორად შეარჩიე წინადადებებში გამოტოვებული სიტყვები და დაწერე.

მეწყერი	ნაპრალი	რელსები	სტიქია	ლერძი
----------------	----------------	----------------	---------------	--------------

1. დამანგრეველი ძალის მქონე ბუნების ნებისმიერ მოვლენას ჰქვია -----.

2. მიწისძვრისას ადვილი შესაძლებელია, რომ მთის ფერდობზე მიწა დაიძრას და ----- ჩამოწვეს.

3. ზოგი სახლი იაპონიაში მიწისძვრისას თავისი ----- გარშემო ბრუნავს.

4. ძლიერი რყევის დროს მიწაზე შეიძლება დიდი და ლრმა ბზარი ანუ ----- გაჩნდეს.

5. სახლმა აქეთ-იქით რომ ისრიალოს, მას ისეთივე ----- სჭირდება, როგორიც მატარებელს.

3 რომელია მსგავსი მნიშვნელობის სიტყვები (სინონიმები)?

- ა) ბუნებრივი – ხელოვნური. ბ) მყარი – მაგარი. გ) თხელი – სქელი.



გრამატიკა

1 დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები თანდებულიანი ფორმით.

1. ადამიანი (სტიქია) ----- თავის დაცვას ყოველთვის ცდილობს.
2. მიწისძვრის (თავი) -----აცილება შეუძლებელია.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. რა უნდა გაკეთდეს -----, რომ ადამიანი არ დაზიანდეს.

(იმისათვის / იმიტომ)

2. შენობებს სპეციალურ მოწყობილობას უკეთებენ, ----- არ დაინგრეს.

(რათა / რადგან)

3. სახლი ჰაერში ღივლივებს -----, სანამ მიწისძვრა არ დამთავრდება.

(მანამ / მაშინ)

3 დაწერე სიტყვები ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ექვსი ბალი – ექვსბალიანი, 6-ბალიანი.

1. თორმეტი ბალი – -----, ----- .

2. სამი სანტიმეტრი – -----, ----- .



ნერა

1 ტექსტის მიხედვით დაწერე, როგორ ცდილობენ იაპონელები მიწისძვრისაგან თავის დაცვას.

იაპონელები მიწისძვრისაგან თავის დასაცავად:

1. ეცნობიან წესებს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მიწისძვრის დროს.

1 შენი აზრით, კიდევ როგორ შეიძლება მიწისძვრისაგან თავის დაცვა. მოიფიქრე ერთი ასეთი საშუალება. აღწერე იგი და დახატე.
